№ 7 იანვარი 11, ოთხშაბათი 1889 იანვარი 11. ოთხშაბათი № 7

გაზეთი ღირს

თთვე	მან. კ.	თთვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი — ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაბეჭდად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1889

„ივერია"

გამოვა 1889 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც სურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1889 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თვითონ რედაქციას, ფრეილინის ქუჩა, სახლი ბასტამოვისა, № 5; ბ) „წერა-კითხვის საზოგადოების" კანცელარიას (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში).

ქუთაისში: ვარლამ ჯილაძის წიგნის მაღაზიას.

ხონში: ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.

ბათუმში: მ. ნათაძეს.

ტფილისს გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ".

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 12 იანვარს

ბენეფისი

გ. კ. ყიფიანის

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

I

მეორედ გაყმაწვილება

დრამა 4 მოქმედებიანი, გადმოკეთებული თ. დავ. ერისთავისაგან

II

ცოლ-ქმრობის წინაღმდეგი

ვოდევილი ერთს მოქმედებად, გადმოკეთებული დავ. აწყურელისაგან.

მოთამაშენი: ქქ. ავალიშვილისა, საფაროვა-აბაშიძისა, გაბუნია-ცაგარელისა, ჩერქეზიშვილისა, თამარისა და სხვ.; ბ-ნნი ყიფიანი, აწყურელი, გამყრელიძე, გუნია და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი 7½ საათზე.

ტფილისი, 10 იანვარი

ყველაზედ უწინარეს საცნობელი ის არის, რომ საგლეხ-კაცო ბანკი, როგორც ყოველივე სხვა ბანკი, ჰყიდის გირაოდ მიღებულს გლეხ-კაცთაგან ნასყიდს მამულს, თუ ვინიცობაა გლეხ-კაცმა ბანკში შესატანი ფული თავის ვადაზედ არ შეიტანა ნასესხის მოსაშორებლად. ეს ყოველ საადგილ-მამულო ბანკისათვის აუცილებელი და თავი და თავი საჭიროებაა. უამისოდ საადგილ-მამულო ბანკს ერთი დღეც გაძლება არ შეუძლიან. რომ ეს არა-სასიამოვნო საჭიროება მართლა აუცილებელია, ამას ამტკიცებს თვით ეს საგლეხ-კაცო ბანკი, რომელსაც კაცი ვერ შესწამებს, რომ გულითა და სულით არ უნდოდეს ამ შავისა და უბედურის დღისაგან დაიხსნას მსესხებელი. მაგრამ რას იზამთ, რომ ამას ვერ იშვნევს ბუნება საადგილ-მამულო კრედიტისა და თვით ყოვლად შემძლებელი სახელმწიფო, რომელიც დღეს საგლეხ-კაცო ბანკს ბოძად უდგა, უღონოა წესად დაიდვას გაუსყიდველობა დაგირავებულ მამულისა, თუ მსესხებელი დანიშნულ ვადაზედ არ გაუსწორდა ბანკსა.

ამ მხრით გლეხ-კაცობას ვერაფერს შეღავათს მისცემდა საგლეხ-კაცო ბანკი. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ არავინ იფიქროს, რაკი ბანკმა მაყიდვინა მამული, თითონვე როგორღა გამიყიდისო. გაგვიყიდით, თუ ბანკს მის პირობას არ შეუსრულებთ. ხოლო ზოგიერთს შეღავათს-კი აძლევს ბანკი და ყველაზედ წინ შეღავათად ჩასათვლელია ის, რომ ბანკი ვადაზედ შესატან ფულს ყოველს ექვსს თვეზედ წინ-კი არა სთხოვს გლეხ-კაცობას, როგორც სხვა ბანკები, არამედ სესხის დღიდგან ექვსის თვის შემდეგ. ეს საკმაოდ საგრძნობელი შეღავათია, იმიტომ-რომ გლეხ-კაცს, რომელიც მამულსა ჰყიდულობს ბანკისგან ნასესხის ფულით, ისე ებღერტება ჯიბე, რომ ყოველი გროში მისთვის სანატრელია და სად შეუძლიან იმავე დროს ნასესხის ფულის სარგებელი ექვსის თვისა წინადვე გაიღოს. ექვსის თვის შემდეგ-კი სულ სხვაა. საკმაო დრო აქვს ან ნასყიდს მამულს გამორჩეს რამ, ან თავის მარჯვენასა, გროში გროშს შეაკეცოს და შესატანი გადაიხადოს.

მართალია, თუ ვადაზედ გლეხ-კაცმა ბანკში შესატანი ფული არ შეიტანა და ნება აქვს მამულის გასყიდვის დღემდე შეიტანოს, მამული გასყიდვისაგან დაიხსნას, მაგრამ ვადის გადაცილების დღიდამ ფულის შეტანის დღემდე თთვეში ერთი გროში (1/2 კაპეიკი) ჯარიმა უნდა გადაიხადოს ყოველს არ-შეტანილს მანეთზედ. ეს ჯარიმა ეპატიება, თუ ჯეროვანი მოწმობა მთავრობის მოხელეობისა მიიტანა ბანკში მასზედ, რომ შესატანი ფული დააგვიანა რაიმე უბედურების გამო, სახელდობრ, ან დაეწვა რამ, ან წყალმა ავნო, ან სეტყვამ, ან საქონლის ჭირმა, ან კალიამ წაუხდინა ნათესი, ან სულ მოუცდა მოსავალი, ან უეცრად მოკვდა, ან ქვემაგებად ჩავარდა ოჯახის გამძღოლი კაცი და სხვა ამისთანა.

ამავე მიზეზთა გამო შესაძლოა გლეხ-კაცს ადროვონ თვით ვადაზედ შესატანი ფულიცა, ხოლო იმ პირობით-კი, რომ ნარჩენი (недоимка) შეტანილ იქმნას ორის წლის განმავლობაში, ასე რომ ყოველ ექვსის თვის შესატანს ნარჩენის მეოთხედი ზედ შეეკეცოს ხოლმე. თუ ორი წელიწადი ზედა-ზედ შეემთხვა გლეხ-კაცს ხსენებული უბედურება რამ, მაშინ შესაძლოა ადროვონ გლეხს იმ ხანის შესატანი ფული სამის წლით იმ პირობით, რომ ერთი მეექვსედი ნარჩენისა ზედ შეეკეცოს ხოლმე ყოველ ექვსის თვის შესატანს და ნარჩენის მანეთზედ თთვეში ერთი გროში (1/2 კაპ.) სარგებელი იხადოს.

გლეხ-კაცს, რომელსაც ეყიდება მამული ფულის არ-შეტანის გამო, ერთი შეღავათიც ეძლევა მამულის გამოსახსნელად გასყიდვისაგან. ამისთანა გლეხ-კაცმა უნდა წარუდგინოს საბუთი ბანკსა, რომ ნარჩენს ფულს მოიშორებს ან მით, რომ იჯარით გასცა მამული, ან მით, რომ ნაწილს მამულისას ჰყიდის, ან სასოფლოდ ახვნევინებს მამულს, ან სხვა რაიმე გზით, რომელსაც ბანკი საბუთად მიიწყნარებს.

გარდა ამ შეღავათებისა გლეხ-კაცობას ისიც მინიჭებული აქვს ბანკისაგან, რომ არავითარს ხარჯს არა სწევს სახელმწიფოდ არც სესხის აღებაში, არც მამულის სყიდვაში ყოველივე ქაღალდი მამულის სყიდვის თაობაზედ თავისუფალია ყოველ გადასახადისაგან, არც ღერბის ფული, არც დასამტკიცებელი, არც სამწერლო (канцелярскія пошлины) გასაღები არ ერთმევა გლეხ-კაცს ამ შემთხვევაში. ხოლო ნასყიდობის წერილზედ დანიშნულია ოთხი აბაზი თაბახზედ, თუ ფასი ნასყიდისა ხუთს თუმანზე მეტია და თუ ნაკლები— სამი შაური თაბახზედ.

ჩვენ ჩამოვთვალეთ უმთავრესნი საფუძველნი და ყველა შეღავათი, რომელიც მოხსენებულია რუსეთის საგლეხ-კაცო ბანკის წესდებაში. ჩვენ არ ვიცით, რამდენად შეიცვლება ეს წესდება ჩვენის ქვეყნის მიხედვით. ეს-კი აშკარაა, რომ ეგ წესდება შეუცვლელად ჩვენში გადმოტანილი, არ შეფარდებული, არ შეწონილი ჩვენის ქვეყნის ვითარებასთან, იმ სიკეთეს ვერ მოიტანს, რის შემძლებელიც არის და

ფელეტონი

ვამბერისა და ელიზე რეკლიუს აზრი სომხების შესახებ.

(დასასრული)

რეკლიუს [1] აზრს უფრო შემოკლებით ვაცნობებთ მკითხველს, რადგანაც ავტორი თითქმის არაფერში არ ეწინააღმდეგება ვამბერის

„უმთავრესი ერი კავკასიაში სომეხთ ერია; ამ ერს, თუმცა იგი რაოდენობით სხვებზე ნაკლებია და მეოთხე ადგილი უჭირავს, ყველაზე მეტი გავლენა და ზედ მოქმედება აქვს, გარდა რუსებისა. პოლიტიკურ ცვლილებათა და ერთა ადგილიდგან ადგილზე გადასვლის გამო სომხეთი მუდამ იცვლიდა საზღვრებს: დღეს იგ შეიცავს თითქმის მთელს ვაკეს არაქსისას, კარგად მოზრდილს ნაწილს მტკვრის ბასეინისას, ამ მდინარის სამხრეთით და ჩრდილოეთით, მთელს ბასეინს მდ. ეფრატისას, ამ მდინარის ორის უმთავრესის შტოს შართავამდე, ვანის ტბის განაპირ ადგილებს და რამდენსამე სხვა ადგილს, რომელიც მდებარეობს სპარსეთში, ურმიის ტბის ბასეინში. სომხების მთავარი ბუდე თანდათან მიიწია ჩრდილოეთისაკენ; უწინ ეს ბუდე იმყოფებოდა ვანისა და მალალ-მურადის, ანუ აღმოსავლეთ ეფრატის მახლობლად. ერთს სოფელს ეხლაც ამ ერის სახელი ჰქვიან. მაგრამ, რაკი ამ ერის ტერიტორია მოსლემინთა ხელში ჩავარდა, სომხებმა თვალი აარიდეს თავიანთს ბუდეს. დღეს, სადაც უნდა სცხოვრებდეს, სომეხს თვალი უჭირავს არაქსის ვაკესა და არარატზე და ეს ადგილები მიაჩნია თავისს ნამდვილ სამშობლოდ. დღეს აქ ნამდვილი ცენტრია ამ ერისა და სომხობა ისე ერთიანად, ერთგვაროვანად და უცხო ელემენტებთან შეურევლად არსად არ იპოვება, როგორც აქ. აქვე, როგორც ეტყობა, ენა უფრო წმინდად აქვს დაცული. აქაური სომხური იმ ენასა ჰგავს, რომელიც დღემდე საეკკლესიო ენად არის მიღებული, მაგრამ ეს ხუთიოდე საუკუნეა საყოველთაოდ-კი არ იხმარება.

„დღემდე ნამდვილად არ ვიცით, რამდენი სომეხი სცხოვრებს მცირე აზიაში, მუსულმანთ ტერიტორიაზე, მაგრამ მაინც შესაძლოა ვიფიქროთ, რომ რუსეთის სომხობას ჩამოუვარდება რაოდენობით. სულ ერთიანად-კი ეს ერი, რომელსაც აღრიცხვენ სამსა და ოთხს მილიონამდე, ორს მილიონს არ უნდა აღემატებოდეს. იშვიათის შემთხვევის წყალობით, რომელიც შედეგია ამ ხალხის განზნევისა, ქალაქები, სადაც სომხები დიდ-დიდ კოლონიებად სცხოვრებენ, სხვა და სხვა ერთა სამფლობელოშია, აზიის კონტინენტის გარეშე: სტამბოლში მათი რაოდენობა იქნება არა ნაკლებ ორასის ათასისა. ტფილისი, მეორე სომხური ქალაქი (სომეხთა რაოდენობით), მდებარეობს საქართველოში და არა სომხეთში. იგივე ითქმის იმიერ-კავკასიის მრავალ სხვა და-სხვა ქალაქის შესახებაც.

„სომხები, მრავალ საუკუნის განმავლობაში პოლიტიკურს ერთობასა და ნაციონალურს დამოუკიდებლობას მოკლებულნი, გავრცელდნენ მთელს აღმოსავლეთში. ჰეროდოტს ისინი უნახავს ბაბილონში. რაკი სომხეთი სხვებმა დაიპყრეს, სომხებმა უცხო ქვეყნებში წასვლა და სომხებად დარჩენა ამჯობინეს თავიანთს სამშობლოში მონობას". ამიტომაც ისინი ჯგუფ-ჯგუფად გადასახლდნენ სამხრეთიდგან და მე-XI საუკუნიდგან მოყოლებული ფეხი შესდგეს რუსეთს, პოლონეთს, ბუკოვინასა და გალიციაში. დღეს სომხებს შეხვდებით ლონდონიდგან დაწყებული სინგაპურამდე და შანჰაიამდე. მათ შორის დიდ-ძალი წარჩინებული ვაჭარია. ხშირად ადარებენ ხოლმე ერთმანეთს სომეხსა და ებრაელს და ზოგჯერ ეგ შედარება სამართლიანია. მართალია, სომეხი ებრაელს არ ჩამოუვარდება რელიგიურის სიმტკიცით, საზოგადო გრძნობით, ვაჭრულის ინსტინქტითა და მოხერხებით, მაგრამ სომეხი ნაკლებად გამბედავია და მაშინ-როდესაც სომეხი დას-დასად დანავარდობს, ებრაელი მარტოდ-მარტო იღვწის და დაუღალავად იბრძვის ადგილის დასაჭერად ამ წუთი სოფლის სუფრაზე. ამას გარდა სამშობლოში დარჩენილს სომეხს ებრაელსავით არა სძაგს მიწის მუშაობა. იმიერ-კავკასიაში მრავალს ადგილს გლეხ-კაცობა სულ სომხის ტომისაა (?).

„სომეხი ძალიან მოყვარულია ოჯახობისა; იგი სცდილობს თავისს შვილებს სწავლა-განათლება მიაღებინოს და არ იპოვება ისეთი საზოგადოება სომხებისა, რომელიც მოწადინებული არ იყოს სკოლა დააარსოს და ან არა ჰზრუნავდეს სკოლას ხელი მოუმართოს. სომხებს ხშირად ბრძოლა გაუწევიათ მთავრობისათვის, რომელიც გარდაჭარბებულ მეცადინეობას სწამებს იმათ, და სამღვდელოებისათვისაც, რომელიც უფრთხის საკუთარის გავლენის შემცირებას მასწავლებელთა სასარგებლოდ. სომხები ძალიან გულ-მოდგინედ ეკიდებიან მეცნიერებასა და მწერლობას და რუსეთის იმპერიაში სომხები, მხედველობაში თუ ვიქონიებთ იმათს რაოდენობას, ყველა სხვა ერზე ბევრს წიგნსა ჰბეჭდვენ. წინად სომხური მწერლობა თეოლოგიური, ისტორიული, მეტაფიზიკური იყო. დღეს-კი იგი ეხება ყოველს გვარს მეცნიერებას და თანდათან მდიდრდება საუკეთესო უცხო ნაწერებით. მოგზაურებს თვით ანატოლიის შუაგულშიაც კი უნახავსთ ფრანცულის ენისა და მწერლობის მცოდნე სომხები.

„საზოგადოდ სომხებს მაინცა-და-მაინც შესამჩნევი ადგილი და გავლენა დაუმკვიდრებიათ სახელმწიფოში ჭკუა-გონებისა, ენების შესწავლისა და მოხერხების შემწეობით და ხშირად ინტრიგის ნიჭის წყალობითაც,—და ამ შესანიშნავის ნიჭის მეოხებით იმათ ფეხი გაიდგეს მოხელეთა წრეში. ყველამ იცის, თუ რა დიდი გავლენა და სახელი აქვსთ სომხებს სტამბოლში... იმიერ-კავკასიაში სომხები თანდათან იძენენ მამულებს და, ვითარცა მემამულენი, იმორჩილებენ მეზობელ თათრებს...

...„საზოგადოდ სომეხი უიარაღოდ დადის. ქართველი-კი, მეტადრე რიონის ბასეინის მცხოვრები, თავიდგან

---

*) იხ. „ივერია" №.

[1] Eliseé Reclus. Nouvelle géographie universelle". Tome VI, L' Asie Russe, p. 211 et 260—70.

იმოდენად ფეხს ვერ გაიდგამს, რამოდენადაც სასურველია ჩვენებურ გლეხ-კაცობისათვის. რუსეთი სულ სხვა ქვეყანაა, იქაურს გლეხ-კაცს სულ სხვა გზა აქვს ცხოვრებისა და აქაურს სხვა. თითონ მეურნეობაც აქაური და იქაური სულ სხვაა და ეს სხვაობა უნდა იქმნას იმ ხიდად, რომელიც აქაურმა საგლეხ-კაცო ბანკმა უნდა გაიდვას ჩვენში სავლელად და სამოქმედოდ.

◆

ახალი ამბავი

⁂ ათს ამ თვეისას მთავარ-მართებელი კავკასიისა, თავ. ა. მ. დონდუკოვ-კორსაკოვი, წაბრძანდა პეტერბურგს, სადაც ერთ თვეემდე დარჩება.

⁂ სარწმუნო კაცმა გვაცნობა, რომ სტავროპოლში გამოჩენილა ერთი კაცი, რომელსაც ქაღალდი მიუცია პროკურორისათვის მასზედ, რომ მე ვიცი დიმიტრი ყიფიანის მკვლელიო; ხოლო იმის სახელს არავის ვეტყვი, თუ არ იმის შვილს ნიკოლოზ ყიფიანსაო. ეს ქაღალდი გაუგზავნიათ ბათუმში, საცა ეხლა ნიკოლოზ დიმიტრის ძე ყიფიანი სცხოვრებს. სტავროპოლში თურმე ასახელებენ ერთს ზეინკალს და დიმიტრი ყიფიანის სიკვდილს იმას აბრალებენ.

⁂ 9 ამ თვეისას ქალაქის საბჭოს სხდომა არ შესდგა, რადგანაც საჭირო რიცხვი ხმოსანთა არ გამოცხადდა

⁂ 8 ამ თვეისას ტფილისის საარტისტო საზოგადოებას წლიური კრება ჰქონდა. ამ კრებამ დაადგინა მომავალს სეზონშიაც იყოლიოს ოპერა.

⁂ ჩვენ მივიღეთ ფრიად საყურადღებო წერილი ბ-ნ ვარლამ ჭიჭინაძისაგან, რომელიც აქვე მოგვყავს და შეეხება სამეურნეო საზოგადოებას.

„ერთს წელიწადზე მეტია, რაც გაზეთებმა გვაცნობეს, რომ ჩვენს ვენახებს „მილდიუ“ მოსდებიაო. გვაცნობეს ისიც, რომ ოცი წელიწადია, რაც ეს ვაზის ავადმყოფობა, ამერიკიდგან გადმოტანილი, საფრანგეთში მძვინვარებდა და მხოლოდ დიდის ხნის ბრძოლის შემდეგ პროფ. ვიალლამ იპოვა წამალი და ამ ნაირად დაიხსნა მთელის საფრანგეთის ვენახები განადგურებისაგანაო. ეს წამალი, როგორც გაზეთები გვარწმუნებენ, უებარი წამალია. გავიგეთ ისიც, რომ ეს ავადმყოფობა, გარდა კახეთისა და ქართლისა, იმერეთშიაც არისო, მხოლოდ ეს ვერ გაგვიგია ნამდვილად: სად შეიძლება ამ წამლების ყიდვა, რა ფასად და რა ნაირად უნდა შეზავდეს, სად ისყიდება სასხურებელი მაშინა და რა ფასად, გვპირებს თუ არა სამეურნეო საზოგადოება ან მართებლობა დახმარებას ამ სენის მოსასპობლად და სხვა ამისთანები. იხმარება თუ არა ის მაშინები მაღლარსა და დაბლარზედ და თუ არ იხმარება, რა ეშველება ნაწამლ-მორჩენილ დაბლარს ვენახებს, მაღლარიდამ ხომ ისევ მალე მოედება სენი დაბლარებს, ერთის ქარის დაბერვით. ამ ცოტა ხანში შემთხვევა მქონდა მელაპარაკნა ამ საგანზედ სამ-ოთხს სოფელში—ოკრიბაში(კურსებს, სადაც კარგს ღვინოებს აკეთებენ, რიონსა, ჭალევსა და სორმონში). სოფლელების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც გაიგონეს, რომ ღვინის მოსავალი ისევ გამობრუნდება, თუ ვეუწამლებთო. ჩემდა საუბედუროდ, კარგი ცნობები მე არა მქონდა ამის შესახებ და საზოგადო ფრაზებით ვერ დავაკმაყოფილე იმათი ცნობის-მოყვარეობა. ყველა ამბობდა: «ოღონდ რამე ეშველებოდეს ვენახებს, ოღონდ ღვინის მოსავლის გამობრუნებას მოვესწრებოდეთ, თორემ ამ საქმისათვის არას დავზოგავთო: სასხურებელ მაშინასაც ვიყიდით და წამლებსაცაო». მე დამავალეს შევიტყო დაწვრილებით და შევკრიბო ნამდვილი ცნობები ამ საგნის შესახებ.

„ორიოდე სიტყვა სამეურნეო გამოფენის შესახებაც. ამაზედაც მქონდა ლაპარაკი იმავე სოფლელებთან. ბევრნი ეპირებიან იმ დროისათვის ტფილისს ჩამოსვლას და ზოგიერთებმა სთქვეს, რომ სოფლის ნაწარმოებსაც გავგზავნითო. არც ეს ვიცით, როდის უნდა გამოიგზავნოს, ვის უნდა გავგზავნოს და რა უნდა გამოვგზავნოთ. საჭიროა გამოფენის გამგეთ მიაქციონ ამ გარემოებას ყურადღება და რაც შეიძლება მალე აცნობონ ხალხს (ამ ოთხს სოფელში არავის გაეგონა-რა გამოფენის შესახებ), რომ ბევრი სოფლელი მეურნე და სოფლის ნაწარმოები მიიზიდონ“.

◆◆

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

ღ. ორპირი. ამ თხუთმეტიოდე წლის წინად ჩვენი ორპირი მეტად შესანიშნავი დაბა იყო მთელს მაზრაში. ვაჭრობა დღითი-დღე მატულობდა, რადგანაც ორპირით მიდიოდა გზა ქუთაისიდგან გურიასა და სამეგრელოში. მგზავრი და საქონელი ორპირს ვერ ასცდებოდა და ეს იყო იმისი მიზეზი, რომ ორპირი დღითი-დღე მატულობდა და იზრდებოდა. მაგრამ ბედმა უმტყუნა ჩვენს დაბას და გაიყვანეს თუ არა ფოთი-ტფილისის რკინის გზა, ორპირი ერთბაშად დაეცა. რკინის გზამ ორპირს გვერდზე აუარა და მთელი ვაჭრობა სამტრედიას გადაიტანა. ამ სახით, იქ, სადაც წინად მრავალი ვაჭარი ხალხი იყო მოთავსებული, დღეს მხოლოდ ათიოდე დუქანია, და იქ-კი, სადაც წინად ტყეა და მგელი ბინადრობდა, დღეს ორასზე მეტი დუქანია. ამ ათიოდე დუქანსაც დღეს ძლივს-ძლივობით უდგია სული და თუ არ პარასკეობა, იმათაც ბოლო მოეღებოდა. ძველადგანვე აქ ყოველს კვირას, პარასკევს დღეს, ბაზრობა იციან და თუ არ პარასკევს, ჩვენებურს დუქანში მუშტარი ფეხსაც არ შესდგამს. ასე და ამ გვარად ორპირული ვაჭარი პარასკევიდგან პარასკევამდე უსაქმოდ ჰზის და თავისს საქონელს შესცქერის. პარასკევს დღეს-კი ახლო-მახლო სოფლელები მოაწყდებიან ჩვენს დაბას და თუ არ ამ დღეს, ჩვენი ვაჭრები ხელს ვერ მოითბობენ და იმათი საქონელი დუქნის კარს არ გასცილდება.

აბა რა უნდა მოგახსენოთ ჩვენს ცხოვრებაზე, როცა არც ხეირიანი ვაჭრობა გვაქვს და არც საკმაოდ ბევრი მცხოვრებელი გვყავს. აქაური მკვიდრი და ვაჭარი სულ ოც-და-ათი კომლი თუ იქნება, ისიც კარგი, და მოდი და აქაურს ცხოვრებაზე ლაპარაკი ჩამოაგდე. მაინცა-და-მაინც იძულებული ვარ აქაურობაზე ვესაუბრო მკითხველს და ვაცნობო, რომ ორპირს ავად თუ კარგად ჯერ კიდევ სული უდგია. როგორც იყო ორპირელებმა განვიზრახეთ შენობის აგება სამრევლო სკოლისათვის, საქმეს უკვე შევუდექით, მაგრამ სახლი ჯერ დასრულებული არ არის. ჩვენდა სასიამოვნოდ უნდა მოგახსენოთ, რომ შენობა ყოველის მხრით კარგი იქნება, ჰიგიენურადაც და სხვაფრივადაც. ეხლა უმთავრესი საზრუნველი ისა გვაქვს, რომ კარგი, დახელოვნებული მასწავლებელი მოვიწვიოთ. ასე თუ ისე ჩვენს ყმაწვილებს უნდა ვაღირსოთ რიგიანი სკოლა და კარგი ხელმძღვანელი.

ორპირელები მაინცა-და-მაინც გულმოდგინე მკითხველები არა ვართ. ჩვენდა სამწუხაროდ, მეტად გულ-გრილად ვეკიდებოდით ქართულს მწერლობას. მაშინ-როდესაც ექვსს რუსულს ჟურნალ-გაზეთს ვიწერდით, ქართული გაზეთი მხოლოდ ერთი მოგვდიოდა და ჩვენს სამშობლო ცხოვრებას თვალს ნაკლებად ვადევნებდით. წელს-კი ორპირელებმა თვალი გამოახილეს და აქაურმა ვაჭრებმა პატარა ამხანაგობა შეადგინეს, ფული შეაგროვეს და გადასწყვიტეს გამოიწერონ ყველა ქართული გაზეთი. კარგი იქნება, ჩვენი ვაჭრები, რომლებმაც ეს კეთილი საქმე განიზრახეს და თავიანთთვის პატარა ბიბლიოთეკა გამართეს, მარტო ჟურნალ-გაზეთებს არ დასჯერდნენ. გაზეთებთან ერთად ქართულს წიგნებსაც რომ შეიძენდნენ და ახალს წიგნებს თავის დროზე დაიბარებდნენ ტფილისიდგან თუ ქუთაისიდგან, ამას რადა ემჯობინებოდა. ეს კეთილი აზრიც რომ საქმედ ვაქციოთ, იქნება ჩვენს უფერულსა და მიჩუმებულს ცხოვრებას რაიმე ნიშან-წყალი დაეტყოს.

დღეს-კი მთელს ორპირში იშვიათად შეხვდებით ქართულს წიგნს წასაკითხად თუ საყიდლად. არც ერთს ვაჭარს დღემდე აზრად არ მოსვლია ქართული წიგნები დაიბაროს, ჰყიდოს და ამითი ორიოდე გროში იმატოს. ცოტაოდენის წიგნის გასაღება-კი აქ შესაძლებელია, რადგანაც პარასკეობით დიდ-ძალი ხალხი მოდის ახლო-მახლო სოფლებიდგან. კარგი იქნება, რომ ამ კეთილს აზრს რომელმამე ვაჭარმა ყურადღება ათხოვოს, თითონაც ისარგებლოს და სხვასაც ხელი მოუმართოს.

წარსულ ზამთრობის დროს რიონსა და ცხენის-წყალზე ააგეს ხიდები და მას შემდეგ ორპირმა ცოტათი სული მოიბრუნა. ამ დღიდგან მოყოლებული სოფლელებმა უფრო სალისიანად იწყეს ორპირში სავაჭროდ მისვლა-მოსვლა, მაგრამ ბედმა აქაც გვიმტყუნა. რიონის ხიდი უდროვოდ დაზიანდა და, თუმცა მისი შეკეთება ძნელი არ იყო, მაგრამ ზოგ-ზოგ გამგეთა წყალობითა და მეცადინეობით ხიდი სრულიად მოიშალა. ხიდის მაგიერ ბორანი გაგვიმართეს: ქვევითს ორ-ორ კაპეიკსართმევენ გასვლა-გამოსვლაში და ცხენოსანს—ათს. შეწუხებულმა ორპირელებმა შევაგროვეთ ხუთასი მანეთი ფული, დახმარება ვსთხოვეთ მთავრობას და ახლო-მახლო სოფლებს, რომლებისათვის ხიდი აუცილებლად საჭიროა, მაგრამ ზოგი სოფლელი ხიდის წინააღმდეგი აღმოჩნდა, რადგანაც განზრახვა ჰქონდა ბორანი გა-

---

ფეხამდე იარაღში ჰზის. ამ ნაირად, ნათლადა სჩანს, თუ რამდენად განირჩევა ქართველი და სომეხი ერთმანეთისაგან. მაგრამ იარაღ-აყრილს, წყნარსა და მშვიდობიანს სომეხს უკეთ დაუცავს თავისუფლება. მაგალითად, სომხებმა არ იციან რა არის წოდებრივი წეს-წყობილება, თავისუფლად ირჩევენ უფროსებს და თავიდგან აუცილებიათ ყმობა, რომელიც დღემდე იმათის მეზობლის ხვედრია... საქართველოში 1864 და 1866 წ. გაუქმებულ იქმნა ბატონ-ყმობა, მაგრამ ბატონები, რომლებიც შეძლებული მიწის პატრონებიც არიან, ჩვეულებისამებრ დღესაც ისე ექცევიან გლეხკაცობას, თითქო იმათის ჭირვეულობის მორჩილი პირუტყვი იყოს...

„სომხები დიდს წარმატებას იჩენენ სწავლა-განათლებაში; ისინი სჯობნიან თვით სლავიანებსაც ენების შესწავლის ნიჭით. „სომეხს გონება თავში აქვსო და ქართველს-კი მხოლოდ თვალშიო“. როგორც ამბობენ, ქართველი საზოგადოდ დანარჩენ კავკასიელებზე მდაბლა სდგას გონიერებით. სკოლებში, სადაც სომხები და თათრები სწავლობენ, ქართველი სულ უკანასკნელია ენებისა და მეცნიერების შესწავლის ნიჭით. შესაძლოა ამისი მიზეზი ის იყოს, რომ ქართველი სოფლელია და სომეხი-კი ქალაქის მცხოვრები...

„თუმცა სოფლებსა და ქალაქებში სომხებს ისე უცქერიან, როგორც ებრაელებს ევროპაში, მაგრამ მაინც შეჰფერის ტურნეფორის ნათქვამი: „სომეხი ერი საუკეთესო და მეტად პატიოსანი ერია მთელს დედამიწის ზურგზეო“ და ან ბაირონისა: «სომხის სათნოება იმისის ბუნების საკუთრებაა, სენი და ნაკლულევანება კი სხვისგან გადაეცემის ხოლმეო»...

ა. ნა—ლი

◆◆

ასული ბარონისა

(თარგმანი)

ამ რამდენისამე წლის წინად ერთს ქვეყანაში სცხოვრებდა ერთი ბარონი, რომელსაც აუარებელი სიმდიდრე ჰქონდა, მაგრამ საშინელი ძუნწი და უწყალო კაცი იყო. ამ ხასიათის გამო ყველას ათვალწუნებული ჰყვანდა ბარონი და შინაურნი, თუ გარეშენი, ყველანი სწყევლიდნენ ამ კაცს ასეთის ღვთის-რისხვა ხასიათისათვის. ამ ბარონს ჰყოლოდა ცოლი, რომელიც უხვად თურმე გასცემდა მოწყალებას გლახებისა, ავადმყოფებისა და დავრდომილთათვის, მაგრამ ასეთი ანგელოზები, სამწუხაროდ ჩვენდა, მცირეს ხნით გვესტუმრებიან ხოლმე. ამისთანა ანგელოზებს ღმერთი გვიგზავნის სესხად რამდენისამე დღით და შემდეგ ხელ-ახლად უკანვე მიჰყავს თავისთან... ბარონის ცოლმა დასტოვა თავის საქველ მოქმედო და სამადლო საქმეთა მოწმად და მოსაგონებლად ქალიშვილი ლიზა. ეხლა ლიზა თხუთმეტის წლისა შესრულდა და იმისი ყმაწვილი ქალობა, როგორც ბუკნაქოტის ბუდეში შემოფრენილი ჩიტი, ავრცელებდა მხიარულებას გაყინულსა და ბნელს სასახლეში. მოხუცებული ბარონი, ვიდრე ცოლი ცოცხალი ჰყვანდა, ცოტათი კიდევ თავს იკავებდა, ხოლო როდესაც მოუკვდა, მაშინ-კი წინანდელზედ მომეტებულად უწყალო და დაღრეჯილი შეიქმნა. ცისმარე დღეს გათენებისას წავიდოდა ტყეში, თან წაიტანდა მხოლოდ მეჯინიბეს და ნადირობდა შავარდენზედ. ლიზას ძალიან უყვარდა მამა და ამისათვის ვერა ჰხედავდა იმის გაკიცხვას, მაგრამ საშინლად მოწყენილი-კი იყო, როცა ამ უდაბნო და სასტიკს სასახლეში მარტო დარჩებოდა ხოლმე. ამ საშინელს სასახლეში შობა დღესაც-კი ვერავინ ვერ ჰხედავდა ერთი ბეწვა ცეცხლი აბრიალებინა მოწყენილობის განსაფანტავად. ლიზა იკრიდა თავისთვის კაბებს აბრეშუმის გახუნებულ ნაჭრებისაგან, რადგანაც ძუნწი მამა არ აძლევდა არც ერთს გროშს ჩაცმა-დახურვისათვის. ბარონმა დაარღვია დადებული აღთქმა, რომელიც მისცა მომაკვდავ ცოლს და შესწყვიტა სიარული ეკლესიაში, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ შეხვდებოდა კარის ბჭეში თავის მაფრთხობელა ხუთ-ექვს დასახიჩრებულს გლახას, რომელნიც გამოუწოდებდნენ მოწყალების სათხოვნელად ხელს. ლიზასაც ვერაფრით ვერ ენუგეშებინა ეს საცოდავნი. თითონაც ისე ატარებდა დროს, რომ გროშსაც ვერ დაინახავდა ხოლმე თვალით... სევდავარმით ევსებოდა გული და გულსაკლავ სულ-თქმას აღმოუტევებდა, როცა ბარონის ასული გაუვლიდა ხოლმე გვერდზე გლახაკის გამოწოდებულს მთრთოლვარე ხელს!.. მეტადრე კვირაობით წირვის შემდეგ ხშირად შეეფეთებოდნენ ხოლმე ლიზას გზაზე ეს უბედურნი, მოსდევდნენ უკან მოხუცებულები, დედაკაცები ძუძუთა ბავშვებით, საბრალო უსინათლონი, მოჰყიროდნენ, შემოსჩიოდნენ თავიანთს სიგლახაკეს, თავიანთს ტანჯვას. საბრალო ლიზა ვერა ჰპოულობდა უარის სათქმელად სიტყვას, საჩქაროდ მიეშურებოდა, თვალები ძირს დაეხარა, სირცხვილისაგან გაწითლებული ყო და მხოლოდ შინ იოხებდა გულს მწარე ცრემლების ღვრით... ერთს ამისთანა დღეს, მკის დროს, საყდრიდამ მიმავალმა ლიზამ დაინახა კარის ბჭეში აძონძილი, დასნეულებული და დაღრეჯილი გლახები და ველარ შესძლო იმათ გვერდით გაევლო და ან თვალი გამართონა მათთვის. ლიზას მოაგონდა, რომ ეკლესიას მეორე კარიცა ჰქონდა, ეს კარი გაიყვანდა ადამიანს ესამოს სენაკიდამ პირდაპირ მინდორზედ. ცრემლ-მორეულმა ბარონის ასულმა გაიარა კარი და დაადგა ახალს გზას. ენახოთ უცბად შეხვდა მოხუცებული დედაკაცი, ტილოს ტანისამოსით, ყავარჯენზედ დანდობილი.

— შვილო,—უთხრა ალერსით უცნობმა:—დაბრუნდი წინანდელს გზაზედ და, რაც შეგხვდეს, აძლიე გლეხებს, ნუ შეგრცხვება. საჩუქარს, მერწმუნე, ამშვენებს თითონ საჩუქარი-კი არა, არამედ ის ალერსი და გულკეთილობა, რა ალერსითა და გულკეთილობითაც გასცემ წყალობას. წრფელის, ტკბილის სიტყვით, თანაგრძნობის ღიმილით ბევრს ბოროტებას ვალბობთ და ბევრს ცხარე ცრემლს ვაშრობთ. განდევნე შენი მორცხვობა და არა ერთს ლოცვა-კურთხევას გაიგონებ საწყლებისაგან.

ლიზა მაშინვე მიხვდა, რომ გრძნეული დედაკაცი მელაპარაკებაო. მსწრაფლად მოწიწებით მიუგო, რომ მაგისთანა დარიგებას უყურადღებოდა ვერ დავტოვებ და, თუ დავტოვებ, დიდ ცოდვად ჩამეთვლებაო. სთქვა ესა, გამობრუნდა უკან და ჩვეულებრივის გზით წავიდა შინისკენ. ამასობაში გლახები მიფანტულ-მოფანტულიყვნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქმართა და გამცლელ-გამოცლელისათვის ფული ქრთმია. ამ გაყბატონებს ქრთმა აჯობა და მოასწრო, ბორანი უკვე დააბა და კიდევაც ამუშავებს. ამ ნაირად, რამდენმამე გაიმჯერა კაცმა კეთილი საქმე ჩაშალა და დღეს თითონაც ჰგრძნობენ, თუ რამდენად საზარალოა უხიდობა.

დასასრულ ორიოდე სიტყვა აქაურს ზამთარზე. წარსულის წლის დეკემბრის შუადღიდგან დაწყებული ცივი ქარი დღემდე ჰგრიალებს და მძვინვარებს. ვერც გარეთ გამოვსულვართ და ბუხარშიაც ცეცხლი ვერ დაგვინთია, რადგანაც ცეცხლისა გვეშინიან. ორმოცი რამდენჯერმე შთაუნთქავს ცეცხლს და წარსულის შიშით სახლის გათბობასაც ვუფრთხით.

◆◆

უცხოეთი

გერმანია. იანვრის დამდეგს დაიწყო საქმობა გერმანიის რეიხსტაგმა. პირველს კრებაზე დაესწრო თვით გერმანიის იმპერატორი ვილჰელმ II და შესაფერი სეფე-სიტყვა წარმოსთქვა. ამ სიტყვაში საინტერესო ახალი და საყურადღებო არა იყო-რა. იმპერატორმა სთქვა, რომ ახლწლის დამდეგს ყველასთან მეგობრობა გვაქვს და მშვიდობიანობა ევროპაში უეჭველი საქმეაო. ილაპარაკა აგრეთვე ვაჭრობასა და მრეწველობაზედ. ერთიცა და მეორეც თანდათან დიდს წარმატებაში შედისო. რეიხსტაგის პირველს კრებაზე ბისმარკი არ დასწრებია, თუმცა ბერლინში-კი ჩამოსულიყო წინა-დღით ფრიდრიხსრუედამ. ამაზე გაზეთები ბევრს ლაპარაკობენ: სცდილობენ ახსნან, რა მოასწავებს, რომ ამ ბოლოს დროს ბისმარკი როგორღაც გაჩუმდა, მონაწილეობას არ იღებს სახელმწიფო ცხოვრებაში, თითქო განზედ სდგას და შორიდამ ადევნებს მხოლოდ თვალ ყურსაო. ზოგი ამბობს, რომ უთუოდ ახალმა მეფემ და მისმა პოლიტიკამ გული ვერ მოუგო კანცლერსაო. ზოგი ამბობს, მოხუცდა და მოსვენებას ეტანებაო. მაგრამ ყველას მითქმა-მოთქმა ნაადრევი აღმოჩნდა. როგორაც სჩანს, ბისმარკი ჯერ არც ისეთ მოხუცებულ კაცად მიაჩნია თავისი თავი, რომ ხელი აიღოს სახელმწიფოში მეთაურობისაგან და არც გული აქვს ვისგანმე ნატკენი საიმისოდ, რომ პოლიტიკაში მხნედ არ გაერიოს კვლავ. ბისმარკს, მაგალითად, ნაშუადღევის ორს საათზედ, უცბად მისულა რეიხსტაგში და მის მისვლას დიდი ალიაქოთიც მოუხდენია. ჯერ გაზეთები არას გვატყობინებენ, რა სთქვა ბისმარკმა რეიხსტაგის კრებაზე. საინტერესო-კია, ვიცოდეთ მისი აზრი ევროპის დღევანდელს საპოლიტიკო მდგომარეობაზედ.

— მართალია, ვილჰელმ II სეფე-სიტყვაში ნათქვამია, რომ გერმანიას მეგობრობა აქვს ყველა დიდ სახელმწიფოებთანაო, მაგრამ ამ სიტყვების სიმართლეს კი ნამდვილად არავისა სჯერა. საფრანგეთსაც რომ თავი დავანებოთ, ინგლისიც-კი ვერ არის კარგად გერმანიასთან. მეტადრე ამ ბოლოს დროს უფრო გამოცხადდა უთანხმოება გერმანიისა და ინგლისისა. ვიდრე ფრიდრიხ III მეფობდა, ინგლისი კიდევ არას ამბობდა; ხოლო ფრიდრიხ III სიკვდილს შემდეგ-კი ინგლისში აღარა ჰმალავენ, რომ გერმანია ყველგან ჯიბრს უწევს და ეცილება ინგლისს. საკოლონიო პოლიტიკაში ხომ აშკარად სცდილობს წინ წაიდეს და კრიჭაში ჩაუდგეს კოლონიების სიძლიერით განთქმულს სახელმწიფოს. აზიასა, აფრიკასა და, ასე გასინჯეთ, თვით ევროპაშიაც გერმანია ებრძვის ინგლისის ძლიერებასა და გავლენას და უნდა მისი ადგილი დაიჭიროს. მაგალითად, ოსმალეთში, სადაც ინგლისის ძლიერება აქამდე ისე დიდი იყო, ეხლა მატულობს გერმანიის ძალა. საფრანგეთ გერმანიის ომს შემდეგ ოსმალეთმა გერმანიას მიაქცია ყურადღება და ამ ქვეყანას გაუწოდა ხელი მოხმარებისა და შემწეობის სათხოვნელად. ეხლა ოსმალეთის ჯარიცა, ზოგიერთი სახელმწიფო დაწესებულებაცა, ბანკებიცა, ვაჭრობაც და მრეწველობაც ამ ქვეყნისა ლამის სულ გერმანელებმა ჩაიგდონ ხელში. ინგლისი ამას მიხვედრილია და, რასაკვირველია, ეჭვით უცქერის ამ ძლიერს მეტოქე სახელმწიფოს.

ავსტრი-ვენგრია. ავსტრი-ვენგრია სულ იმას იძახის, რომ გერმანელების მოკავშირენი ვართ და ამიტომ ვალდებულება გვაწევს, მომზადებულნი ვიყვნეთ ისე, როგორც ჩვენი თანამოკავშირე სახელმწიფოაო. ამ მოსაზრების ძალით იქმნა ავსტრიაში შეწყნარებული ახალი კანონ პროექტი ჯარების რიცხვთა მომატებისა და საზოგადოდ სამხედრო წესების უკეთესად შეცვლისა, მაგრამ იგივე კანონ-პროექტი აგრე ადვილად არ შეიწყნარა ვენგრიის სეიმმა. ვენგრიის სეიმში დიდი ალიაქოთი ასტეხა კანონ პროექტმა და დიდად გაუჭირა საქმე ვენგრიის მთავარ-მინისტრს კოლომან ტისას. სხვა მინისტრებმაც ბევრი ილაპარაკეს კანონ პროექტის სასარგებლოდ, მაგრამ ვენგრიელებს პირჯვარი მალე ვერ დააწერინეს, კიდევაც იცინოდნენ ზოგიერთ იმათ ლაპარაკის გამო.

„თქვენ იცინითო?—სთქვა ერთმა გაჯავრებულმა მინისტრმა:— ნუ გგონიათ, რომ მართლა სამშობლოს დაცვა შეიძლებოდეს ლამაზის სიტყვებითა და ლაპარაკით. ხოლო, როგორ გგონიათ, ნუ თუ არ გადასდებთ საჭირო ფულს, რომ, ვსთქვათ, შიში რამ მოელოდეს მამულსაო?"

ყველა მემარცხენენი წამოდგნენ ფეხზე და გამოაცხადეს, რომ მაგისთანა შემთხვევაში ჩვენ ყველანი მზადა ვართ საომრად წავიდეთ და გავილაშქროთო. „ძალიან კარგი და პატიოსანიო,—უპასუხა ამაზედ მინისტრმა:—ხოლო გადადება ფულისა, ან სხვა რამისა, რაც საჭირო აღმოჩნდება, კიდევ საკმაო არ არის; საჭიროა, რომ ყოველივე გაკაიდოს და მომზადდეს თავის დროზე".

მეორე მინისტრმა სთქვა, რომ მე ტყუილად მამტყუნებთ, ვითომ ვენგრიელების დამცირება მინდა, როცა ვემხრეობ კანონ-პროექტის აზრს გერმანულის ენის საჭიროებისას ჯარში. ამ ბრალს ტყუილადა მდებთ. ჯარში აუცილებლად საჭიროა ერთი რომელიმე სახელმწიფო ენა. ამიტომ დავარიგე ცირკულიარი, რომ ჯარში ყველამ უნდა იცოდეს გერმანული ენა-მეთქი. უამისოდ ქვეყანას, მამულს ვერ დავიცავთ. წინად კიდევ საბუთი გვქონდა, როცა ვიძახდით, გერმანული არა გვინდა-რაო, და ეხლა-კი ასეთი ლაპარაკი სასაცილოა ვენგრიაში, რომელსაც სულ სხვა გვარი ადგილი უჭირავს სახელმწიფოშიაცა და ევროპაშიაცაო.

საფრანგეთი. ბულანჟე თუ ჟაკი, ჟაკი თუ ბულანჟე'—ამაზეა დღეს გაუთავებელი დავა საფრანგეთის გაზეთებსა და საზოგადოებაში. მთელი პარიჟი, მთელი საფრანგეთი ორ დიდ დასად გაიყო. ერთი ბულანჟეს ნდომობს სენის დეპუტატად, მეორე ჟაკს, თავ-მჯდომარეს სადეპარტამენტო საბჭოსას. ვინც ამ დავის გარეშე სდგას, ვისაც არ უნდა საარჩევნო ბრძოლასა და ციებ-ცხელებაში მონაწილეობა მიიღოს, აი იმათ რას ეუბნება სპიულერი, საერო განათლების მინისტრად ნამყოფი: რასა ჰყოყმობთ და სტოკავთ? ამისთანა გაჭირებაში რაღა დროს ჰოჭმანია? ეხლა ყველასთვის ცხადია, აშკარაც, ვინ რის მოვალეც არის. თქვენ ეჭვი გაქვსთ, რომ ვითომ ჟაკი პალატაში ვერ დაიცავს რესპუბლიკას ისე, როგორც თქვენ გსურთ, იმ რესპუბლიკას, როგორც თქვენ წარმოდგენილი გაქვთ?! მაგრამ განა ვერა ჰხედავთ, რომ ეხლა მაგისთანების დრო აღარ არის? არა ჰგრძნობთ, რომ მაგისთანა ჰოჭმანობით თქვენ დას-დასობანას მისდევთ და მაგით მტრების სასარგებლო საქმეს სჩადიხართ? ბეწვზე ჰკიდია არსებობა არა თქვენისა, ან ჩვენის რესპუბლიკისა, არამედ ყველას რესპუბლიკისა, თქვენისაცა და ჩვენისაცა, იმ რესპუბლიკისა, რომელიც თქვენცა გწამთ და ჩვენცა, რომელსაც ვემსახურებოდით თქვენცა და ჩვენცა საფრანგეთის ერის-კაცობის გულისათვის. ასეთს დროს გარეშე დგომა, შორიდამ სეირის ცქერა იცით რას ჰნიშნავს? იმასა ჰნიშნავს, რომ კაცმა აიღოს და თავისი თავი თვით მოიკლას".

იტალია. დეპუტატს კოლომბოს წარმოუთქვამს მილანში სიტყვა და სასტიკად გაუკიცხავს დღევანდელის სამინისტროს პოლიტიკა. კოლომბოს უთქვამს, რომ იტალიას ღონე გამოელია ამდენის ხარჯის ძლევითაო. იტალიის ვაჭრობა სხვა ქვეყნებთან დიდად შემცირდა. ჩვენს ქვეყანას დიდი აღარა გააქვს-რა სხვა ქვეყნებში; საკუთარმა მრეწველობამ-კი მაინც არა იმატა-რა. საეროვნო სათარიგო თანხა ილევა. ობლიგაციები სახელმწიფო ვალისა და რკინის გზის აქციები საზღვარ-გარეთ გადის. ამავე დროს წვრილს მიწათმფლობელობას ბოლო ელება და ლამის სრულიად მოისპოს. ხალხი-კი აუარებელი მიდის სამშობლოდამ, სტოვებს თავისს მშობელს ქვეყანას და ბედის საძებრად საზღვარ-გარეთ მიეშურება. ახლა ყოველ წელს 160,000 კაცი ანებებს თავს იტალიას. სახელმწიფოს ხარჯი დიდი აქვს და თანდათან უფრო მატულობს. 1862 წელს ეს ხარჯი არ აღემატებოდა 500 მილიონს, 1887 წელს-კი 2,063 მილიონამდე ავიდა. შემოსავალი ბევრად მცირეა გასავალზე, ისე რომ ყოველ წელს. 195 მილიონი ვალი დაატყდება თვის სახელმწიფოს.

და ლიზა სრულიად მარტოდ მიდიოდა სახლში, რაღაც ანგარიშ-მიუცემელისა და ტკბილის იმედით ჰკრეფდა გზა-გზა მინდვრის ყვავილებს და ჰკრავდა კონებად. ამ დროს პირდაპირ ტბისაკენ წამოვიდა მოკრძალებით, შიშითა და ცრემლების ღვრით დედაკაცი, რომელიც აქნობამდე ქვაზედ იჯდა.

— ოო, მშვენიერო!—წარმოსთქვა მან და გამოუწოდა ხელი:—შემიბრალეთ საწყალობელი ქვრივ-ოხერი! დიდი ხანია, რაც პურის მარცვლის კრეფითა ვსცხოვრებ. დღეს ავად ვიყავ, დამიგვიანდა მოსვლა და აღარც ერთი მარცვალი არ დარჩენილა ამ მინდორზედ. მიწყალობეთ რამე, ღვთის გულისათვის!

— ჩემდა საუბედუროდ, არა მაქვს არც ერთი გროში, მაგრამ აი ჩემი ყვავილების კონა, უთუოდ შეხვდება გულ-კეთილს კაცს, მიეცი ეს კონა და შეგეწევა.

მწუხარებით ჩაიღიმა დედაკაცმა და გამოართვა მცირე საჩუქარი. ვნახოთ, უეცრად კონა იქცა უზარმაზარ პურის ბჯად, საუცხოო თავთავემა იწყეს მზეზედ ოქროსავით ბრწყინვა. აჩქარებული და გაკვირვებული ბედნიერებისაგან ქვრივი აკანკალებულის ხელებით ფაცა-ფუცით იყრიდა წინ საფარში პურის თავთავს. ხოლო ლიზა მიხვდა, რომ ეს გრძნეულის უნარი იყო და გაბრწყინვალებული გაეჩქარა [illegible] ტყისაკენ. აქ ისევ შეუდგა მინდვრის ყვავილებისგან გვირგვინების კეთებას და თან მიეცა ოცნებას თავისის დედისა, იმ გულ-კეთილ გრძნეულისა და ის-ის იყო მომხდარის სასწაულთ-მოქმედების გამო... ამ დროს დაინახა, რომ დაძონძილი ბიჭი შეშინებული სდგას ბუჩქებში, კანკალებს და ოდნავ ჩურჩულებს:

— ოჰ, მშვენიერო! ობოლი ვარ. მოხუცებულ ბებიის მეტი არავინა მყავს. ვიმუშავებდი, მაგრამ არავის არ მივყავარ სამუშაოდ... ყველანი მეუბნებიან, პატარა ხარო... ბებია ჩემიც ავადმყოფი წევს ულუკმა-პუროდ დაქცეულს ქოხში.

— მე არაფერი არა მაქვს-რა,— უთხრა ობოლს ლიზამ:—მაგრამ აი ყვავილების გვირგვინი, მიეცი იმას, ვინც გიშველის.

ბავშმა გამოართვა და ნახა, რომ ყვავილების მაგივრად ხელში უჭირავს ახალი გამომცხვარი თეთრი პური. ბიჭი გაშტერდა. ლიზამ-კი საჩქაროდ გასწია და, როდესაც დაინახა ვარდების ბუჩქი, მოსწყვიტა ერთი ვარდი და გაირჭო გულში... რამდენსამე წამს შემდეგ ნახა, რომ ხის ქვეშ ზის ჯარის-კაცი, ხმალზედ დანდობილი და დაღლილი თავი შეუხვევია და წვეთ-წვეთად ჩამოსდის სისხლი... საბრალო კაცი ეუბნება ლიზას:

— ოჰ, მშვენიერო, რა ნაირად დავილალე სიარულით, რამოდენა გზა გამოვიარე და ვინ იცის, კიდევ რამდენი დამრჩენია!.. მუხლები მომეკვეთა, ერთი ჭიქა ღვინო საკმაოა, რომ ფეხზე დავდგე. მაგრამ ჩემი სალვინე ცარიელია. ამ ახლო-მახლო სოფელში რომ შეირბენდე და მომიტანდე ერთს ცვარს, რა მადლს მოისხამდი, რა ნაირად დაგლოცავდა მოხუცებული მოლაშქრე...

—ამ საათში გავიქცევი, მაგრამ სოფელი შორს არის, მანამ თქვენ მოიწყენთ და აი ეს იყოს თქვენი გამრთობი...

და ჯარის-კაცს მისცა ბავშმა ვარდი. ღიმილით გამოართვა მან მშვენიერი ყვავილი დაბეზრებულის ხელით, მაგრამ იმ წუთასვე ვარდი-კი აღარ ეჭირა, არამედ მშვენიერ იაგუნდის ფერის ღვინით სავსე თასი.

იმ დღეს ლიზა აღარავის აღარ შეხვედრია. გასაოცარია, რომ ამ ამბის გამო დაჰკრეს ნაღარა და ყოველივე შეიტყო მოხუცებულმა ბარონმაც. როდესაც დაბრუნდა ლიზა შინ, დაინახა შეგროვილი ხალხი, რომელიც აღელვებული ფაცი-ფუცობდა და ეშურებოდა ბარონისთვის ეხარებინათ თავის ქალის ამბავი. იჭვეულობა აღარ შეიძლებოდა, ყველა ერთ-ხმად ჰღაღადებდა და აი ბილწმა გაუმაძღრობამ ბარონისამ იჩინა კვლავ თავი. როგორც-კი გაათავა თავისი მცირე ვახშამი და ქალთან მარტოდ დარჩა, ალერსიანად მიიხმო ასული თვისი და უთხრა:

—მომილოცავს, საყვარელო შვილო. როგორაც სჩანს, ბედნიერს ეტლზედ დაბადებულხარ. გავიგე რა საკვირველის ნიჭით თურმე დაგასაჩუქრა დღეს გრძნეულმა და მსურს მეც დავრწმუნდე. შემომითავაზე რამე და ვნახოთ, რად გადიქცევა შენი ნაჩუქარი ჩემს ხელში?

ლიზა შეშინდა ამ სიტყვებზედ.

— მამა,—ეუბნება ასული:—ნუ გაჯავრდებით... მაგრამ, ღმერთმანი, ეს საქმე ძალიან სახიფათოა. საოცარი ნიჭი მხოლოდ იმიტომ მაქვს, რომ უშველო უბედურებს და არა იმისთვის, რომ შევავსო ჩემის ოჯახის ქონება...

— არაფერია, ეგ სიბავშვეა! მე მინდა მხოლოდ ვცადო. მანდერა, ყელზედ გაბია ტყვიის მედალი, მომეცი, ვნახოთ, რად იქცევა ეგ მცირე ნივთი. თუ ძვირფას თვლებით შემკულ ნივთად გადიქცა, მაშინ გამოჩნდება, რომ ძალა შენის საკვირველებისა გამოსადეგარი იქნება ჩვენთვისაც...

ლიზამ სიტყვა აღარ შეუბრუნა და მისცა მამას ტყვიის მედალი, მაგრამ იმ წუთსავე შეჰყვირა შიშისაგან გაუმაძღარმა ძუნწმა. მას ეჭირა ხელში საძაგელი გაფთრებული ჯოჯო, რომელიც ისე მოეკიდა, როგორც სისხლისმსმელი წურბელა. ჰალარა სულელს მოჰკლავდა კიდეც ის ჯოჯო, თუ რომ მშველელად არ მისწრებოდა ქალი. ლიზას ხელში ჯოჯო ისევ წინანდებურ ნივთად იქცა. ყველა ამაზედ ჩაფიქრდა ბარონი და დილით ადრე ლიზას აჩუქა ფულით სავსე პარკი. საკვირველება მშვენიერისა ამითი არ გათავდა. საგრძნეულო ნიჭი ბარონის ასულისა ამას შემდეგაც ჰმოქმედებდა დაიჩენდა თავისსსაოცარს ძალას. კვირაობით ეკკლესიაში მისის ხელით გაცემული კაპეიკი ხდებოდა ვერცხლის მანეთად, ვერცხლის მანეთი ოქროდ და ოქრო ბრილიანტად... გაითქვა ყველგან ლიზას გულ-კეთილობის სახელი... გაიგო ყველა ეს მეფემ და მოისურვა სასძლოდ. ჯერ გაჰგზავნა ელჩები და შემდეგ თითონაც მემკვიდრით წავიდა ბარონის სახლში. ვაჟკაცი სასიძო ძალიან მოეწონა ლიზას და ისეთი დიდებული ქორწილი გადიხადეს, რომ აი რამდენმა ასმა წელმა განვლო მას აქეთ, მაგრამ მაინც, ეხლაც რომ მოიგონებენ ხოლმე იქაურები, პირში ნერწყვი მოსდით.

მეჯვრიხეველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დით ყოველ წლივ ას წილში 40 წილს იმისას, რაც შემოსდის სახელმწიფოსაო.

◆

დეპეშა

10 იანვარი

პეტერბურგი. „С. Петерб. Вѣд“.-ი ამბობს, რომ ორიოლის გუბერნატორმა აუწყა ელეცის თავად-აზნაურთა წინამძღოლს შემდეგი: როცა ფინანსთა მინისტრმა მოახსენა ხელმწიფე იმპერატორს უქვეშევრდომელესი დეპეშა ელეცის ერობისა, მიწერილი ელევატორის გაკეთების გამო, მისმა უდიდებულესობამ ბძანა, რომ იმედია ელეცის ერობის მიერ დაწყებული საქმე დიდად წარმართავს ხვნა-თესვისა და ვაჭრობის საქმეს შუაგულ რუსეთისასაო.

„Гражданинъ“-ს აუწყებენ ბოლგარიიდამ დიდად სარწმუნო კაცნი, რომ იქ მხნედ ავრცელებენ კათოლიკეთა სარწმუნოებასაო. ამას წინად ორნი, სამშობლოდამ განძევებულნი, კვლავ დაბრუნდნენ თავიანთ ქვეყანაში, რა კი გაიგონეს, რომ ყველა განძევებულნი შეწყალებულ იქმნენო; მაგრამ მივიდნენ თუ არა თავიანთ ქვეყანაში, მაშინვე შეპყრეს, დაატუსაღეს და წამება დაუწყესო. ამ დაპატიმრებულებთან მიდიოდნენ კათოლიკეთა მღვდელნი, ვითომ და იმიტომ,—რომ, ნუგეშინი ეცეთ პატიმართაო; ისინი უქადაგებდნენ პატიმართ, რომ მიიღეთ კათოლიკეთა სარწმუნოება და წამება თქვენი მსწრაფლ მოისპობაო. ერთმა მიიღო კათოლიკობა; ხოლო მეორემ უარი სთქვა. ეს მეორე ცოცხალ-მკვდარი სადღაც გააქანეს. ბოლგარია ყველგან იეზუიტებით არის გავსებული.

პარიჟი. საარჩევანო კრებაზე, რომელიც გუშინ იყო „Avenue Duquesne“ დიდი ჩხუბი მოხდა ბულანჟე მომხრეთა და სოციალისტებ შორის ამ ჩხუბში 29 კაცი დაიჭრა და დაშავდა.

ნეაპოლი. ვეზუვის კრატერიდამ დიდი ბოლი ამოდის; სამხრეთ აღმოსავლეთის ფერდობზე ნაცარტუტი მიმდინარეობს; ისმის ქვესკნელიდამ გუგუნი და ყრუ გრიალი.

პარიჟი. დეპუტატთა პალატამ 369 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 169 შეიწყნარა ახალი სამხედრო კანონი. კამათობის დროს სამხედრო მინისტრმა პასუხი მისცა მემარჯვენეთა, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ახალი კანონი ახალი ტვირთი იქნება ქვეყნისათვისაო. მინისტრმა სთქვა, რომ მაგ კანონის შეწყნარება საჭიროა ქვეყნის დასაცველადაო; საფრანგეთს თავის დასაფარავად 3 მილიონის ჯარის გამოყვანა უნდა შეეძლოსო.

პეტერბურგის ბირჟა, 5 იანვარი.

	მყიდველთა.		გამყიდველთა.		გაყიდულია.	
	მან.	კ.	მან.	კ.	მან.	კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო	—	„	—	„	7	50
ტამოჟნის კუპონები	—	„	—	„	150½	
მანათიანი ვერცხლის ფული	1	13	—	„	—	„
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	—	„	—	„	264½	
—მეორისა	—	„	—	„	245	
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა	97	„	—	„	—	„
ქუთაისის ბანკისა	97	„	—	„	—	„
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა	82	„	—	„	—	„

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩვენთ (1889) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ 7397.
ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი—უპა=481 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი მე=45 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1889 წლის ზედ-ნადებია—6.
იანვარი 31 დღით არის.

11 დღე ოთხშაბათი. წმ. თევდორე დიდისა და ეგვიპტის ღვთის მშობლის ხატისა. კათოლ. გონორატისა. სომეხ. სალამოზედ ნახატონაქი. მაჰმად. მე-22 რიცხვი თვისა ჯემად-ულ-ეველისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—გარდაიცვალა მეფე ქართლისა ირაკლი, 1798 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—12. ტფილისში მზე ამოდის 7—21, ჩადის 5—3. მთვარე 22 დღისაა.

12 დღე ხუთშაბათი. მოწ. ტატიანესი და სერბიის არხიეპ. საბასი. კათოლ. არკადიასი. მაჰმად. მე-23 რიცხვი თვისა ჯემად-ულ-ეველისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—12. ტფილისში მზე ამოდის 7—20, ჩადის 5—5. მთვარე 23 დღისაა.

13 დღე პარასკევი. წმ. პეტრესი და იაკობისა. კათოლ. ეპ. ლეონტისა. სომეხ. წინა-დაცვეთა და სახელ-წოდება იესო ქრისტესი. მაჰმად. მე-24 რიცხვი თვისა ჯემად-ულ-ეველისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—13. ტფილისში მზე ამოდის 7—19, ჩადის 5—6. მთვარე 24 დღისაა.

14 დღე შაბათი. წმ. მოციქულთა სწორის ნინოსი, საქართველოს განმანათლებელისა, გარდაიცვალა 347 წ., დამარხულია სოფ. ბოდბეში, სიღნაღს ახლო. სიონის ტაძარში დაფარულია შეკრული წმ. ნინოს თმით ჯვარი ვაზისა, რომლითაც იგი ჰქადაგებდა საქართველოში სწავლას ქრისტესას. კათოლ. წმ. ფელიქსესი. სომეხ. დაბადება იოანესი. მაჰმად. მე-26 რიცხვი თვისა ჯემად-ულ-ეველისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუადღე 12—13. ტფილისში მზე ამოდის 7—19, ჩადის 7—5. მთვარე 25 დღისაა.

15 დღე კვირა. ღირსისა პავლესი და იოანე მღვიმელისა. კათოლ. პავლესი და აბ. მავრასი. მაჰმად. მე-26 რიცხვი თვისა ჯემად-ულ-ეველისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—გურია რუსეთის სამფლობელოს შეუერთდა, 1810 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—13. ტფილისში მზე ამოდის 7—18, ჩადის 5—8. მთვარე 26 დღისაა.

16 დღე ორშაბათი. თაყვანის-ცემა პატიოსან ჯაჭვისა წმ. მოციქ. პეტრესი. კათოლ. წმ. მარცელიასი. სომეხ. პატრ. პეტრესი და არხიმანდ. აბესალომისა. მაჰმად. მე-27 რიცხვი თვისა ჯემად-ულ-ეველისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—13. ტფილისში მზე ამოდის 7—17, ჩადის 5—10. მთვარე 27 დღისაა.

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 იანვრიდამ 16 იანვრამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5 კაპ.
პური 1-ის ხარისხისა.	3½ ›
„ 2 „	3 „
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	5 „
„ „ 2—	4 „
„ „ 3 „	3½ „
ჯვარის მამის პურის ლავაში	
1-ლის ხარისხისა	5 „
მე-2 ხარისხისა	4 „
მე-3 —	„
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	8 „
„ 2 „	7 „
სუკი	14 „
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	9 „
ღორის ხორცი	9 „
„ 2 „	8 „

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

განცხადებანი

Вышла изъ печати и поступила въ продажу

въ Центральной книжной торговлѣ и въ газетномъ агентствѣ кн. Бебутова и Ко перепечатанная изъ XI-го тома „Актовъ кавказской археологической комиссіи“ книжка

„ТЕАТРЪ ВЪ ТИФЛИСѢ СЪ 1845—1856 ГОДЪ“

in 8°, 213 ст. Чистый доходъ съ изданія предназначенъ на усиленіе средствъ заведенія св. Нины. Цѣна 1 р. с; на веленевой бумагѣ 1 р. 50 к. с.; въ переплетѣ изъ англійскаго коленкора на 50 к дороже; за пересылку иногороднымъ прилагается 25 к. (5—5)

გამოვიდა და იყიდება

ახალი ქართული წიგნი

მამიდა ასმათი

მოთხრობა

ა. წერეთლისა.

გამოცემული „ივერიის“ რედაქციის მიერ.

ფასი 20 კ.

წიგნი იყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნთ-საწყობში, ბანკის ქარვასლაში, სასახლის ქუჩაზე.

წერა-კითხვის გამავრცელებელ

საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 101)

იყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

	მან.	კაპ.
ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძესაგან	„	40
გენათის მონასტერი, გამოც. აბაშიძისა	„	25
საიბიკონი, რ. ხუნდაძისა	1	„
საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა.	„	40
საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა	„	15
გულივერის მოგზაურობა	„	50
საუკეთესო ცოდვა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა	„	20
ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები, ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ.	„	15
ორ-მეტყველება, სახელმძღვანელო გრამატიკისა, პ. კვიცარიძისა	›	45
ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ.	1	50
II ნაწ.	1	50
ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა	„	15
ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა.	„	40
ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ.	„	30
მცხეთის ტაძარი, გამოც. დამბაშიძისა	„	25
ოტელო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ	„	50
მეფე სოლომონ ბრძენი, გამოცემა დამბაშიძისა	„	5
ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა	„	50
საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც.	3	„
სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებელისა (რუსულს ენაზე)	„	35
ვაზის ტილი.	„	10
მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი	„	30
ლოცვანი, დამბაშიძისა	„	30

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

12 თვით	10 მ.—კ	6 თვით	6 მ.—კ.
11 „	9 „ 50 „	5 ›	5 „ 25 „
10 „	8 „ 75 „	4 ›	4 „ 75 „
9 „	8 „ — „	3 ›	3 „ 50 „
8 „	7 „ 25 „	2 ›	2 „ 75 „
7 „	6 „ 50 „	1 ›	1 „ 50 „

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვეს განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ა შესწორებულ იქმნება. არ-დაბეჭდილს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ფრეილინის ქუჩა, სახლი ასტამოვისა, № 5.

ПОДПИСКА НА

„ТРУДЫ“

кавказскаго общества сельскаго хозяйства

1889 года,

выходящіе ежемѣсячно и посвященные нуждамъ кавказской сельско-хозяйственной промышленности,

ПРИНИМАЕТСЯ ВЪ ТИФЛИСѢ,

въ канцеляріи Кавказскаго Общества Сельскаго Хозяйства, что на Барятинской улицѣ, въ Александровскомъ саду.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА ИЗДАНІЯ ЗА ГОДЪ

ЧЕТЫРЕ руб.

съ пересылкою во всѣ города россійской имперіи и доставкою на домъ.

Отдѣльные номера не продаются.

Для напечатанія въ „Трудахъ“ принимаются сельско-хозяйственныя объявленія, по соглашенію съ бюро Общества.

(3—3)

Доз. ценз. Тифлисъ 10-го Января 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской ул. ном. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე